დანართი №13

დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 28 ივლისის №985868 ბრძანებით

2026 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსში მონაწილე პროექტების დაფინანსების წესი

§1. პროექტის შეფასების წესი

1. კონკურსის პირობებთან შესაბამისობაში მყოფი პროექტები ფასდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის №128/ნ ბრძანების მე-10 მუხლით განსაზღვრული პროექტის შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.
2. პროექტების შეფასება ხორციელდება სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2026 წლის 28 ივლისის №985868 ბრძანებით დამტკიცებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსის პირობების მე-7 მუხლით დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

§2. კონკურსის ბიუჯეტის განაწილების წესი სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით

1. კონკურსის ბიუჯეტი ნაწილდება თითოეული სამეცნიერო მიმართულებისათვის შემდეგი პროცენტული მაჩვენებლებლების მიხედვით:

სამეცნიერო მიმართულებები	პროცენტები	კონკურსის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა (ლარში)
1. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	24%	108 000
2. ინჟინერია და ტექნოლოგიები	14%	63 000
3. სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები	14%	63 000
4. აგრარული მეცნიერებები	14%	63 000
5. სოციალური მეცნიერებები	14%	63 000
6. ჰუმანიტარული მეცნიერებები	20%	90 000

§3. პროექტის დაფინანსების წესი

1. თითოეული მიმართულებისათვის ცალ-ცალკე კეთდება ქულების მიხედვით პროექტების რანჟირებული სია[1] (ზემოდან ქვევით).

2. ყოველ მიმართულებაში ფინანსდება მხოლოდ დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი 9 ან მეტი ქულის მქონე პროექტი შესაბამისი რანჟირებული სიის მიხედვით, სანამ მიმართულებისათვის განკუთვნილი ბიუჯეტი იძლევა პროექტის სრულად დაფინანსების საშუალებას.

[1] იხილეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანების მუხლი 10-ის პუნქტი 4.

3. კონკურსით გათვალიწინებული თითოეული სამეცნიერო მიმართულების რანჟირებული სიის მიხედვით პროექტების დაფინანსების შემდეგ, თითოეულ სამეცნიერო მიმართულებაში დარჩენილ თანხას ეწოდება ნაშთი, რომელიც აღარ ყოფნის რიგით მომდევნო პროექტს დასაფინანსებლად.

4. ფონდის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით, სამეცნიერო მიმართულებებიდან დარჩენილი ნაშთების ჯამის განაწილების შესახებ რეკომენდაციების მომზადების მიზნით, იქმნება სპეციალური სათათბირო ორგანო - საბჭო, რომელიც დაკომპლექტდება სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენლებისგან.

5. საბჭო რეკომენდაციის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, რომელიც ფორმდება სხდომის ოქმით და წარედგინება ფონდის გენერალურ დირექტორს.

6. საბჭო თავისი ცოდნის, გამოცდილების, კომპეტენციისა და შეხედულების საფუძველზე:

ა) განსაზღვრავს კონკურსის სამეცნიერო მიმართულებებს შორის ყველაზე პრიორიტეტულ ერთ ან

რამდენიმე მიმართულებას;

ბ) გასცემს რეკომენდაციებს ნაშთების ჯამის გადანაწილების შესახებ პრიორიტეტულად განსაზღვრულ ერთ ან რამდენიმე მიმართულებაში (რანჟირებული სიის მიხედვით).

7. საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე გენერალური დირექტორი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას

ნაშთების ჯამი გადაანაწილოს სამეცნიერო მიმართულებებს შორის ერთ ან რამდენიმე მიმართულებაში (რანჟირებული სიის მიხედვით).

8. გენერალური დირექტორი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ნაშთის ფონდის ბიუჯეტში დაბრუნების, ან დამატებითი პროექტ(ებ)ის დაფინანსების შესახებ.

9. თუ რომელიმე გამარჯვებულ პროექტთან ვერ მოხერხდება ხელშეკრულების გაფორმება, მაშინ მის ნაცვლად დასაფინანსებელი პროექტის შერჩევა განხორციელდება საბჭოს მიერ, დაფინანსების წესის მე-6 პუნქტის „ა)“ და „ბ)“ ქვეპუნქტების შესაბამისად, რომლის რეკომენდაციის საფუძველზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს გენერალური დირექტორი.

10. ნაშთის განაწილების შემდეგ დარჩენილი საბოლოო ნაშთი რჩება ფონდის ბიუჯეტში.